ეთიკის კომისიის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი - კოლეგიის წევრი

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი** – ლ. ს.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 16.12.2013

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 157/13

**ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი** – ნ. ა. /სიითი №--/ სპეციალიზაცია - საერთო

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ნ. ა.-ათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

## I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ს.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ა.-ათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 30 აპრილს მოსარჩელე ლ. ლ.-ის წარმომადგენელმა ადვოკატმა ნ. ა.-მ მის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად თანხის დაბრუნება.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 22 მაისს, მან შესაგებლით გასცა პასუხი სარჩელს, რომელშიც მიზანმიმართულად იყო დაფიქსირებული „მრავალი სიცრუე და სიბინძურე“.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 07 ივნისს ჩატარებულ მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ, რომელიც აშკარად მიკერძოებული იყო, დაახლოებით ათჯერ ურჩია ნ. ა.-ს გაეხმო სარჩელი, გარკვეულიყო ვითარებაში და შემდგომში მიემართა სასამართლოსთვის სარჩელით.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ ნ. ა.-ის ორჭოფობის გამო, ჩანიშნა მეორე მოსამზადებელი სხდომა, რისი საჭიროებაც არ არსებობდა და შესაძლებელი იყო პირდაპირ მთავარი სხდომის დანიშვნა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. ა.-მ ხელი მოაწერა განცხადებას და გადასცა მოსამართლეს ისე, რომ განცხადების შინაარსი ხმამაღლა არ წაუკითხავს არც მას და არც მოსამართლეს. მოსამართლემ განაცხადა მხოლოდ ის, რომ თანახმა იყო ნ. ა.-ს გაეხმო სარჩელი. საჩივრის ავტორს აინტერესებს, თუ რა საფუძვლით მოხდა სარჩელის გახმობა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის მიხვდა, რომ მისთვის არასასარგებლო ვითარება იქმნებოდა, სავარაუდოდ, მოსამართლის არაპირდაპირი დახმარების საფუძველზე. ამის გამო, მოგვიანებით საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა მოსამართლეს და მოსთხოვა ნ. ა.-ის მიერ ხელმოწერილი განცხადების ასლის გადაცემა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, განცხადების ასლის გაცნობის შემდეგ, ის გააოცა იმ ფაქტმა, რომ მოსამართლის სახელზე დაწერილ განცხადებას, რომელიც მოსარჩელე ლ. ლ.-ის სახელით იყო დაწერილი, ხელს აწერდა მისი წარმომადგენელი ადვოკატი ნ. ა., რითაც ლ. ს.-ს დასაბუთებული ვარაუდით, ადვოკატმა ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ განცხადების სხვისი სახელით ხელმოწერის შემთხვევა უნდა შეფასდეს, როგორც ადვოკატის მიერ კანონით აკრძალული საშუალების გამოყენება.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ცალსახად არის განმარტებული, რომ დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომწერის ნების გამოვლინება. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს, როგორც უშუალოდ ხელმომწერი პირისათვის, ისე იმ პირისათვისაც, ვისი სახელითაც მოხდა ხელმოწერა.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. ა.-მ დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები. საჩივრის

ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ა.-მ ასევე, დაარღვია ამავე კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონდმებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. ა.-მ სარჩელის გამოხმობის შემდეგ, განმეორებით შეიტანა უკვე შეცვლილი სარჩელი ლ. ს.-ს წინააღმდეგ, რასაც იგივე სიცრუე ედო საფუძვლად, რაც პირველ სარჩელში ეწერა.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 11 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, მოწმის დაკითხვის დროს, მოსამართლის მიერ დასმულ კითხვაზე: „თქვენი მეუღლე აზარტული მოთამაშე იყო?“ პასუხის გაცემა არ დააცალა ადვოკატმა ნ. ა.-მ და ცინიკურად, გამომწვევად და დამცინავად, მოსამართლის ნებართვის გარეშე მიმართა მოწმეს: „თქვენც ხომ არ თამაშობდით მასთან ერთად? “

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. ა.-მ მოწმეს მიაყენა შეურაცხყოფა და ცდილობდა მისი მდგომარეობიდან გამოყვანას პროვოკაციული გზით. საჩივრის ავტორის თქმით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოსამართლეს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულმა ფაქტმა ძალიან აღაშფოთა, რადგან მის შვილს სრულიად დაუმსახურებლად „ბინძური პროვოკაციით“ დასცინა და შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატმა.

1.15 საჩივრის ავტორის თქმით, ის ცდილობდა თავი შეეკავებინა და მხოლოდ ერთი სიტყვით მიმართა ნ. ა.-ს, რომ ის იყო უზრდელი, რის გამოც მოსამართლემ ლ. ს. დააჯარიმა.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, სწორედ ადვოკატი ნ. ა. იმსახურებდა ჯარიმას, როგორც მოწმის შეურაცხყოფისთვის, ისე სხდომაზე წესრიგის დარღვევისათვის.

1.17 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, თავისი პროფესიული ფუნქციის განხორციელებისას.

## 2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ა.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 30 დეკემბერს. ადვოკატის განმარტებით, ლ. ს.-ს საჩივარი არ შეიცავს იმ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა შეფასდეს ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევად.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სავარაუდოდ, აღნიშნული საჩივარი წარმოადგენს თავდასხმას თავდაცვის მიზნით, რადგან ლ. ს. ჩაიდინა უღირსი და შეუფერებელი საქციელი პირადად მისი და მისი კლიენტის მიმართ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოში პროცესი მიმდინარეობდა ლ. ს.-ს მუდმივი ცილისწამებისა და თავდასხმის ფონზე. ადვოკატის განმარტებით, ლ. ს. მიაჩნდა, რომ მოსამართლე მის მიმართ მიკერძოებული იყო.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ლ. ს.-ს მოსამართლისადმი მიმართვა იწყებოდა იმით, რომ მოსამართლე მას ავიწროებდა, ზღუდავდა და არ აძლევდა საშუალებას დაეცვა კლიენტის ინტერესები.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ რამდენჯერმე მისცა შენიშვნა ლ. ს. წესების დარღვევის გამო.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის მაქსიმალურად ცდილობდა დაეცვა კოლეგიალობა. ადვოკატის განცხადებით, ლ. ს. ვერ მიუთითა საჩივარში, რომ მის მიმართ ნ. ა.-მ გამოიყენა შეურაცხყმყოფელი ეპითეტი ან ჩაიდინა ღირსების შემლახავი საქციელი.

2.7 ადვოკატის განმარტებით, თავს ვერ გაიმართლებს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ შეადგინა სარჩელი ლ. ს.-ს  წინააღმდეგ.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია მოსარჩელის ნაცვლად მის მიერ განცხადებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, სრულიად უადგილოა, რადგან ხელმოწერის ნამდვილობა სადაო მხოლოდ ლ. ლ.-მა შეუძლია გახადოს, რასთანაც დაკავშირებით მის კლიენტს პრეტეზნია არ გააჩნია. ადვოკატის თქმით, ამ ფაქტს არ აქვს კავშირი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მას ჰქონდა მინდობილობა ლ. ლ.-საგან, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ახორციელებდა მასთან წინასწარი შეთანხმებით. სარჩელის გამოხმობაც მისი კლიენტის თანხმობთ მოხდა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დავა ლ. ლ.-სა და ლ. ს.  შორის წარმოიშვა იმ მიზეზით, რომ “ლ. ს.  თავის სრულწლოვანი ქალიშვილზე თითქოსდა მიყენებული ზიანის სანაცვლოდ გამოართვა თანხა ლ. ლ.-ს, მისი ასევე სრულწლოვანი შვილიშვილების მაგიერ”.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მოწმის მიმართ შეურაცხყოფის ფაქტი შეუძლია სადაო გახადოს თავად მოწმემ და არა ლ. ლ.-ს. ადვოკატის განმარტებით, კითხვის შინაარსი არ იყო შეურაცხმყოფელი და ის არსებითად უკავშირდებოდა საქმეს. კერძოდ, აღნიშნული ეხებოდა მოწმის განმარტებას, იმის თაობაზე, რომ მისი ქმარი დადიოდა ტოტალიზატორში და თანხას აგებდა. ადვოკატის თქმით, ის შეეცადა შეემოწმებინა მისი კლიენტის მიერ მიღებული

ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მოწმე თავის მეუღლესთან ერთად სტუმრობდა ტოტალიზატორს.

**3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1. 2014 წლის 16 იანვარს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიჩნია, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. ა.-მ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას გამოიყენა არაკანონიერი საშუალებები, ადგილი ექნება ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

3.3. ადვოკატი ნ. ა. წარმოადგენდა საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის, ლელა ლალიაშვილის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. შესაძლოა, ადვოკატმა ნ. ა.-მ ლ. ლ.-ის ნაცვლად ხელი მოაწერა განცხადებას სარჩელის გამოხმობის თაობაზე და გადასცა მოსამართლეს.

3.4. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ აღნიშნული ქმედებების განხორციელების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის ქცევა შესაძლოა შეფასდეს, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის მიერ კანონით აკრძალული საშუალებების გამოყენება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას.

## II სამოტივაციო ნაწილი

**4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდაო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ლ. ლ.-მა ადვოკატ ნ. ა.-ს გაუფორმა მინდობილობა 2013 წლის 01 აპრილს

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

1. 2013 წლის 01 აპრილს გაცემული მინდობილობა №--- (ს.ფ. 04 )

4.1.2 ადვოკატმა ნ. ა.-მ ხელი მოაწერა განცხადებას სარჩელის გამოხმობის თაობაზე მისი მარწმუნებლის ლ. ლ.-ის ნაცვლად და ლ. ლ.-ის სახელის მითითებით.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

1. ეთიკის კომისიაში ადვოკატ ნ. ა. მიერ 2013 წლის 03 დეკემბერს წარმოდგენილი ახსნა-განმარტება. (ს.ფ. 34)
2. ეთიკის კომისიაში ადვოკატ ნ. ა. მარწმუნებლის ლ. ლ.-ის 2013 წლის 03 დეკემბრის ახსნა-განმარტება. (ს.ფ. 36)

## 5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

## 6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით." ადვოკატმა გაუფრთხილებლობით დაარღვია გონივრული წინდახედულობის ფარგლები კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას და სარჩელის გამოხმობის თაობაზე განცხადებას თავად, სხვა პირის სახელისა და გვარის მითითებით, კერძოდ, მისი მარწმუნებლის ლ. ლ.-ის ნაცვლად მოაწერა ხელი.

6.2 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს."

6.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №010/10/ დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლინეტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად."

6.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) განმარტა: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი

სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში."

6.5 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე № 106/12 აღნიშნა: „... ხელმოწერის გრაფაში ნიმუშად დოკუმენტის ნამდვილი ავტორის ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია; ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომწერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს, როგორც ხელმომწერი პირისათვის, ასევე იმ პირისათვის, ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმოწერა... ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ გონივრულ ფარგლებში წინდახედულების საზომით მოქმედება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა და ამ საკითხისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება მოეთხოვება ადვოკატს."

6.6 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ნ. ა. მისი კლიენტის ნაცვლად სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „სადაო ამ ხელმოწერის ნამდვილობა მხოლოდ ლ. ლ.-მა შეიძლება გახადოს, რომელიც არამცთუ სადაოდ ხდის მას, არამედ იწონებს და რაიმე პრეტენზია არ გააჩნია. მე მქონდა ლ. ლ.-სგან მინდობილობა საქმის წარმოებაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ვახორციელებდი მასთან წინასწარი შეთანხმებით და მისი ნებართვით. მათ შორის სარჩელის გამოხმობაც მოხდა მისი თანხმობით და კანონის სრული დაცვით... თუმცა, აქ მთავარია ის გარემოება, რომ ლ. ს. არანაირი უფლება არ გააჩნია იდაოს იმაზე, რომ მე სხვის მაგიერ მოვაწერე ხელი." (ნ. ა. ახსნა-განმარტება; ს.ფ. 34) ეთიკის კომისია აღნიშნულ შემთხვევაში, ვერ გაიზიარებს ადვოკატ ნ. ა.-ის მოცემულ არგუმენტაციას, ვინაიდან კლიენტის ინტერესების დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ლ. ლ.-ის, როგორც კლიენტის მიერ მოწონებული იქნა ადვოკატის მიერ განხორციელებული მოცემული ქმედება (ლ. ლ.-ის ახსნა-განმარტება, ს.ფ. 36), ადვოკატს აღნიშნული არ აძლევს უფლებას კლიენტისათვის სასურველი შედეგს არაკანონიერი საშუალების გამოყენების გზით მიაღწიოს, კერძოდ, საკუთარი კლიენტის ნაცვლად, კლიენტის სახელის მითითებით მოაწეროს ხელი განცახდებას სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

6.7 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატი კლიენტისაგან აღჭურვილი იყო სათანადო უფლებამოსილებით, მიეღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა ამისა, თავად კლიენტი იყო ინფორმირებული ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შედეგების შესახებ და იწონებს დამდგარ შედეგს, ადვოკატის მიერ კლიენტის გვარის გასწვრივ ხელმოწერით არ იქნა ხელყოფილი

კლიენტის ინტერესები. თუმცა, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატს არ ქვს უფლება იმოქმედოს ეთიკური ვალდებულების საწინააღმდეგოდ და კონკრეტული შედეგის მიღწევისათვის გამოიჩინოს მსგავსი დაუდევრობა. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია დისციპლინური გადაცდომის შინაარსის, ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს რეაგირების სახით გამოიყენოს პროპორციული და ადეკვატური ზომა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით, რომელიც არ არის სახდელი, მიზნად ისახავს ადვოკატისათვის რეკომენდაციის გაცემას, რომელიც ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს პროფესიულ საქმიანობაში, რათა მომავალში აირიდოს ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, თავად ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით და ადვოკატთა კორპუსისადმი სანდოობას.

## III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. ა. მიმართ /სიითი №/ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. ადვოკატ ნ. ა.-ს პირადად გადაეცემა კერძო სარეკომანდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია.

4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32).

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/